საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 4 21 0000654182

30/06/2021

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ამერიკული ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1 „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლ ის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო)სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3აკრედიტაციის დებულების 27^5 მე-7 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის 12 დეკემბერს სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა № 1710276 სააკრედიტაციო განაცხადი ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ამერიკულ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 16 იანვრის № 37921 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 5 მარტის № 198591 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2021 წლის 20, 21 და 22 აპრილს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი უსდ-ში, ხოლო 2021 წლის 4 ივნისს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			

3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

-

2.3 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4 ზეპირი მოსმენა გაიმართა 2021 წლის 16 ივნისს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევესხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული 11 კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ 26 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1- ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ქართულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2021 წლის 30 ივნისის № 652859 სხდომის ოქმის № 4 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. დაწესებულებისათვის განსაზღვრული **რჩევები** შემდეგნაირად გამოიყურება:

- გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულება მიიჩნევს, რომ USMLE მნიშვნელოვანია მისი კურსდამთავრებულებისთვის, დაემატოს შუალედური შეფასებები (NBME's CBSE, CCSE), სტუდენტების პროგრესის შესახებ, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების უკუკავშირისთვის, რაც იზომება USMLE-ის მუშაობასთან დაკავშირებული ინსტრუმენტებით;
- რამდენადაც პროგრამა უკვე იყენებს „შებრუნებული საკლასო ოთახის“ სტრატეგიებს, ფაკულტეტის სამომავლო განვითარება შეიძლება მიმართული იყოს იმაზე, თუ როგორ გაიზარდოს მაქსიმალურად „კლასსგარეთ“ (out of class) ფაქტების სწავლის სარგებლიანობა, ამ ფაქტების მოსალოდნელი „შემთხვევითობის“ გამოყენებით კლინიკური პრობლემების გადასაჭერელად. ამგვარი მიდგომა საჭიროს გახდის შეფასების ტრანსფორმაციას, რამდენადაც იგი მოითხოვს „ცოდნის გამოყენების“ შეფასებას და არა მხოლოდ იმის, რომ სტუდენტმა გაიხსენოს რა იცის. დროთა განმავლობაში, ეს სტუდენტებს უბიძგებს დასვან კითხვები თუ „რატომ“ და „როგორ გაიმოყენებენ ამ ინფორმაციას“;
- ყველა კურსის/პრაქტიკუმის სწავლის შედეგების გაუმჯობესება შესაძლებელია მათი უფრო აქტიურ ზმნაში პერიფრაზირებით. ეს მათ უფრო მარტივად შესაფასებელს გახდის, ობიექტური კრიტერიუმების გამოყენებით. თითოეული კურსის/პრაქტიკუმის სწავლის შედეგები შესაძლოა დაფორმატდეს ისე, რომ ყურადღება გამახვილდეს ინფორმაციისა და ცოდნის გამოყენებაზე;
- სილაბუსში შესაძლოა წერილობით იყოს ასახული (სასარგებლო იქნება სტუდენტებისა და ფაკულტეტისთვის), თუ როგორ გროვდება სტუდენტებისა და ფაკულტეტის უკუკავშირი თითეულ კურსზე/პრაქტიკუმზე და ამ წყაროებიდან მიღებული მასალა როგორ განიხილება პროგრამის მიერ, ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით. თუკი ამის განახლება ყოველწლიურად ხდება, მაშინ ახალი სტუდენტები შეძლებენ ნახონ თუ როგორ შეიცვალა იმ კურსის სილაბუსი, რომელიც უნდა გაიარონ, სტუდენტთა უკუკავშირის შედეგად. აღნიშნული, ასევე, დაეხმარება პროფესურას რომ რელევანტური სილაბუსები ჰქონდეთ;
- დეტალურად იქნეს მითითებული სწავლებისა და სწავლის თითოეული სტრატეგიის საათების რაოდენობა (საკლასო ოთახში), როგორც სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო საქმიანობის წილი სუკეთესად კონტროლის საშუალება;
- კლინიკურ ფაზაში ობიექტური შეფასებების გამოყენება, მათ შორის იმ შემთხვევის რაოდენობისა და ტიპების დეტალიზაცია, რომლებიც უნდა შეაფასონ სტუდენტებმა.
- ზოგიერთ კურსში გამოიყენება "ზეპირი" გამოცდები, და მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შეფასების წილი არ არის მაღალი, ასეთ შეფასებებში არსებობს ობიექტურობასთან დაკავშირებული ეჭვი. უმჯობესია, რომ პროგრამის შეფასების სპეციალისტმა უზრუნველყოს გამოცდების ჩატარება ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული არაობიექტურობა, ინტერესთა კონფლიქტი ან რაიმე სუბიექტური შთაბეჭდილებები;
- სტუდენტების შეფასების გასაუმჯობესებლად განხორციელდეს სტუდენტების შეფასება EPA–ს შესაბამისად, ხოლო დადებითი უკუკავშირის შემთხვევაში, ფართოდ იქნეს გამოყენებული ეს მეთოდი პროგრამაში.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 16 ივნისს.

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო

დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
სხდომის მდივანი
კაჭარავა მაკა